წლიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | სამშაბათი, 12 იანვარი 1916 წ. | № 8

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1916 წ. წლიწადი მეორე — „საქართველო“ — 1916 წ. წლიწადი მეორე

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:**

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმომწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

## პაზმული და სამხატვრო კრებული „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მერანი“ უფასოდ დაურიგდებათ.

ნინა გაბრიელის ასული ივანიცკისა შვილებითურთ: აპოლონი, ტარასი, ვლადიმერ, ნიკოლოზი, სოფიო და რაფიელ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს 13 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი დაუვიწყარ, პირველისა შვილის-შვილის და დანარჩენების დისწულის. გერმანიის ფრონტზე გმირულად დაღუპილ პოდპორუჩიკ

**ნიკოლოზ დავითის ძის გულისაშვილის**

სულის მოსახსენებლად.

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

ოთხშაბათს 13 იანვარს 1916 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

## იუდას მემკვიდრე

დრამა 5 მოქ. სობ-სამარინისა თარგ. კონსტან-ანდრონისა.

მონაწილეობას მიიღებენ: დავითაშვილი ნინო, თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ა., იმხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, ჟივიძე იოს., სარაული გ., ჭიაურელი გ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრ. ქართული დრამატიული საზოგადოებისა.

მზადდება „ჩრდილოეთის გმირნი,“ „უბედურება„ და სხვა.

(3—27—2)

## სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—14—8)

## ქ. შ. წ.-კ. გ. ს. კავკავის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ 1 იანვრიდან საჭიროა კავკავის ქართულ სკოლაში

## ერთი მასწავლებელი

მსურველებმა თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა გამოგზავნონ კავკავის განყოფილების გამგეობაში. მასწავლებელს ექნება თვეში თავისი ბინით ექვსი თუმანი.

(3—26—3)

## ქ. გორში

გორის ქართველ ქალთა „მანდილოსნის“ გამგეობა

## დღესასწაულობს 14 იანვარს.

ამ დღეს დილის თორმეტ საათზე აკურთხებს ღარიბ ბავშვთა უფასო სკოლას, რომელშიაც უპირატესობა დაეთმობათ **ომში დაზარალებულთა შვილებს.**

საღამოს რვა საათზე დაიდგმის წარმოდგენა

## „პირველი ბუზი“

საკრებულო დარბაზში, წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ თბილისის დრამატიულ დასის მსახიობნი: ლიზა ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, მგალობლიშვილი და სხ. წარმოდგენის შემდეგ ცოცხალი სურათი: **ნინო, ქეთევან და თამარი.** იგალობებს გუნდი, იქნება ბუფეტი, დაუკრავს საზანდარი.

საღამოს დიასახლისად ბრძანდება კნ. ანნა ალექსანდრეს ასული **ამილახორისა.**

(1—29—1)

## 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ“-ზე

წლიწადი მეთორმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** **წიგნი** „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 **წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 **წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

10 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ტენენფელდის მიდამოებში გერმანელები რუსების სანგრებს მხოლოდ გაზიან ყუმბარებს უშენდნენ. ჩარტორისკის ჩრდილოეთით მოპირდაპირე უნაყოფოდ სცდილობდა რუსების მიერ დაჭერილ სიმაღლის დაბრუნებას. გალიციაში სტრიპას შუა მდინარეობაზე მოპირდაპირე შეეცადა რუსების სანგრებს მიახლოვებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. მდ. სტრიპას ქვემო მდინარეობაზე და დნესტრზე, რუსები იერიშით მივიდნენ სიმაღლეზე, რომელიც მდებარეობს იაზლოვეცის და დობროვის ჩრდილო-აღმოსავლეთით და პატაჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სოფ. დობრავა რუსებმა აიღეს. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსების 4 გამაგრებული სანგარი ააფეთქეს. აქ ცხარე ბრძოლა გაიმართა.

**შავ ზღვაზე** 8 იანვარს ანატოლიის სანაპიროებთან რუსების ნაღმოსნებმა 40 იალქნიანი გემი დაღუპეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ტორტუმ ღელეს ტბის მიდამოებიდან უკან დახეულ ოსმალეთის ჯარს რუსები ფეხ-და-ფეხ სდევნიან. რუსებს ხელთ უვარდებათ ტყვეები, ტყვია-წამალი, იარაღი და სხვა და სხვა სურსათი. აზრუმის სიმაგრეების მახლობლად კაზაკების ცხენოსანმა რაზმმა ოსმალების უკანმავალ ჯარს შეუტია, ბევრი გასწყვიტეს, ტყვედ წამოიყვანეს 1000 ასკერი. დანარჩენი ოსმალთა ჯარი აზრუმისაკენ გაიქცა. რუსები ზარბაზნებს უშენენ აზრუმის სიმაგრეებს.

**პეტროგრადი, 10 იანვარი.** ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. რიგის რაიონში მიტავის შარა გზისკენ გერმანელები ესვროდნენ რუსთა თხრილებს, შემდეგ მოშხამული გაზები გამოუშვეს. პულკარნის მახლობლად, ბაუსის შარა გზაზე, შეტაკება მოხდა გერმანელთა და რუსთა მოწინავე რაზმებისა.

**კავკასიის ფრონტი.** ოსმალები საჩქაროდ იხევენ აზრუმისაკენ. ბევრს ადგილას დავლადა რჩება ზარბაზნისა, თოფისწამლისა და სატელეფონო ქონებანი. რუსები ფეხ-და-ფეხ მისდევენ. გზად ბევრი გაყინული ასკერი ჰხვდებათ. თვითეულს სოფელთან იჭერენ ტყვეებს. რუსის ერთმა ასეულმა ნახევარი ესკადრონი და სამი როტა ასკერებისა გაჰფანტა და ასჩეხა, ზოგი ტყვედ წამოიყვანა. შარინსუს სამხრეთით თითქმის მთლად მოსპეს ქურთთა რაზმი. მელიაზგერთის რაიონში რუსთა ცხენოსანმა რაზმმა ქურთებს 600 სული საქონელი წაართვა. სპარსეთში ქამადანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი სცდილობდა კანდელინის ღელესკენ გამოსულიყო, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. რუსებმა აიღეს სულთან-აბადი. გერმანელი კონსული და მოკრებილი სპარსელი ჯარები გაიქცნენ.

**პარიზი,** 10 იანვარი. შესანიშნავი არა მომხდარა-რა.

**ბუქარესტი,** 9 იანვარი. იმპერატორმა ვილჰელმმა ინახულა მეფე ფერდინანდი ნიშში. ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის შუა სრული თანხმობაა ძველი საბერძნეთის გაყოფის შესახებ. ბულგართა მიერ დაჭერილი მაკედონია ბულგარებსვე დარჩებათ. ძველი სერბეთიდან მას უთმობენ ტიმოკის ღელეს ქალაქ პიროტითა, ვრანიე, ზაიჩარისა და ნეგოტინითურთ. აგრეთვე ეთმობათ ნიშავის ღელე, ქალაქი ნიში, მთელი ტერრიტორია დუნაემდე ქალაქ კლადოვო, კურშუმილია, პოჟარევაცი და კრუშევაციურთ. ამ უკანასკნელი ქალაქებიდან ავსტრო-გერმანელები უკვე გასულან, მათ მაგიერ ბულგარები ჩადგნენ და თავიანთი ადმინისტრატიული წესწყობილება შეაქვთ.

**კოპენჰაგენი,** 10 იანვარი. ბალკანეთში მომქმედი გერმანეთის მთავარი შტაბი სოფიაში იმყოფება. 100 გერმანელი აფიცერი ჩამოსულა.

**ლონდონი,** 10 იანვარი. დაჰღუპეს ინგლისელთა გემი „ტრემატნი“. ეკიპაჟი გადარჩა.

**კოპენჰაგენი,** 9 იანვარი. მთაშაველთა არმია ნებდება ავსტია-ჰუნგრელებს. იარაღს აძლევენ. არავინ მტრულს განწყობილებას აღარ იჩენს. ავსტრიელი ჯარები შუაგულში შედიან. ჯარებს მთაშაველნი მორჩილებით ხვდებიან და იარაღს აძლევენ. იარაღს არა ჰყრიან მათ, ვინც წინააღმდეგობას არ გასწევს და მშვიდობიანად მოიქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში აჰყრიან და გადაასახლებენ კიდეც. მთაშავეთს სწყურიან დამშვიდება. ომით იგი საშინლად მოქანცულა.

**პარიზი,** 9 იანვარი. გაზეთები იუწყებიან, მთაშავეთის მთავრობის საცხოვრებელ ადგილად დაინიშნა ქალაქი ლიონი.

**პეკინი,** 9 იანვარი. ჩინეთის მთავრობამ აუწყა ხუთთა კავშირს, რომ იუანშიქაი არ დასთანხმდა 27 იანვრისთვის გამოცხადებულ იქმნეს იგი მონარქად. ამისთვის საჭიროა ჯერ აჯანყება ჩავაქრო იუნანშიო.

იაპონიის ცნობების თანახმად იუნანში აჯანყებულნი შეესივნენ სიჩუანის პროვინციას და ბრძოლის შემდეგ აიღეს ქალაქი ქისუიკუ.

**ლონდონი,** 8 იანვარი. თემთა პალატას ეუწყა ასკვიტის მიერ, ნასწავლ მუშათა გასანთავისუფლებლად საჭირო იქნება ქალთა ხელი გავამრავლოდ და ისინი ავიყვანოთ მუშებათაო.

**პეტროგრადი,** 9 იანვარი. ცნობა მოვიდა მთელი სამხრეთის პატრიარქი მძიმედ გახდა ავადაო.

**პარიზი.** დღის ცნობა. ბელგეთში, შამპანში და ვოგეზებში მოპირდაპირის ბარგის ურმებს და მუშებს უშენდნენ ზარბაზნებს. დანარჩენ ადგილებში სიწყნარე იყო.

**ლონდონი.** ინგლისის გემი „სუტერლანდ“-ი 4 იანვარს დაიღუპა.

უზომოდ დამწუხრებულნი ელისაბედ ზაალის ასული, ლევან იოსების ძე, ივანე და მიხეილ ლევანის ძენი ნაცვლიშვილები; ნინო ლევანის ასული და რევაზ დავითის ძე სვიმონოვები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, უდროვოდ დაღუპვას ბრძოლის ველზე გმირულის სიკვდილით, პოდპორუჩიკის

**იოსებ (სოსო) ლევანის ძე ნაცვლიშვილისას**

30 ქრისტეშობისთვეს 1915 წ. ცხედრის დაკრძალვა მოხდება დღეს, დილის 11 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რუსეთის ასპარეზი.

**პეტროგრადსა და მოსკოვს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია.**

ეს რამდენიმე დღეა თბილისში პეტროგრადის ფოსტა არ მოსულა. მიზეზი ის არის, რომ პეტროგრად-მოსკოვსა და პეტროგრადიდან სხვა ლიანდაგებზე ჩვეულებრივი მიმოსვლა მატარებლებისა შეჩერებულია 17 იანვრამდე. პეტროგრადისა და მოსკოვის სადგურიდან წამსვლელთ საგანგებო ნებართვის მოწმობა უნდა ჰქონდეთ, გზათა მინისტრის კანცელარიიდან. ბილეთებს მისცემენ მხოლოდ სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს წევრებს, ხოლო შესაფერი მოწმობა უნდა წარუდგინონ სადგურის უფროსს. დანარჩენებს ბილეთები მიეცემათ მხოლოდ სამსახურის ხალხს, შესაფერი მოწმობის წარდგენით. საწოლი ადგილები სრულებით არ იქნება და მხოლოდ იმდენ ბილეთს გაჰყიდიან, რამდენი საჯდომი ადგილიც არის ვაგონში. „რ. ვ."-ის სიტყვით წესიერი მიმოსვლა ამ ლიანდაგზე 17 ამ თვეს განახლდება.

### ბალკანეთში.

**საბერძნეთში.**

ბალკანეთის საქმეები თანდათან რთულდება. სერბეთის განადგურებას მთაშავეთის დამორჩილებაც მოჰყვა. ახლა ჯერი მიდგა საბერძნეთზე. როგორც გაზეთები სწერენ, საბერძნეთის მეფე და მთავრობა მაგრობენ და ნეიტრალობის დარღვევას არ აპირებენ; მაგრამ მოკავშირენი, როგორც სჩანს, ანგარიშს აღარ უწევენ მის სურვილებს და გადაჭრით მოითხოვენ საბერძნეთის მიმხრობას. საბერძნეთის სამეფო თათბირზე დაუდგენიათ გულის წყრომა გამოუცხადონ მოკავშირეებს (ინგლისელებს და ფრანგებს), რომელთაც ნებადაურთველად ჯარი გადაუყვანიათ . . . . ნავთსადგურში (ნავთსადგურის სახელს არ იტყობინებიან). ბუდაპესტიდან იტყობინებიან, როდესაც ნავსადგურში . . . მოკავშირეებმა ჯარი გადასხეს, საბერძნეთის ჯარი უმოქმედოდ იდგაო.

**ჯარის გადაყვანა.**

გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ის სიტყვით, მოკავშირეებს ჯარი გადაუსხამთ ფალერსა და კორინთის ნავთსადგურებში.

**მთაშავეთის ბედი.**

მთაშავეთში ომის დაწყებამდე ყოფილა 35 ათასი მეომარი. 29 ქრისტეშობისთვეს ავსტრიელთა და მთაშაველთა შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა. 4 იანვარს საბოლოო შეთანხმება მომხდარა. მთაშაველთა თხოვნაზე, საომარი მოქმედება შეაჩერეთ და ზავზე დავიწყოთ მოლაპარაკებაო, გენერალ კევეშს, შეუთვლია: ჯერ ყოველ პირობების გადაუწყვეტლად დაგვნებდით და მოლაპარაკებას მერე შევუდგეთო.

ამბობენ ავსტრია მთაშავეთს უთმობს ძველი სერბეთის ნაწილსაო.

„ნვ-ფრეი-პრესი" იტყობინება: ავსტრიელ-გერმანელები მთაშაველებისაგან მოითხოვენ არა მარტო საზოგადო იარაღის აყრას, არამედ იმ იარაღის ჩაბარებასაც, რომელიც ყოველ მთაშაველს მემკვიდრეობით აქვს გადმოცემული თაობიდან—თაობაზე. აგრეთვე თხოულობენ ყველა ქალაქებისა, დაბა-სოფლებისა და რკინის გზების გადაცემასაც. მამაკაცებს, ვისაც კი იარაღის მოხმარება შეუძლიანთ გაიგზავნებიან დანიშნულ ადგილებში. ქალები ადგილობრივ დარჩებიან.

**ლოვჩენის გარშემო.**

ლოვჩენის აღების შემდეგ კევეშის ჯარი მთაშავეთის დანარჩენ ადგილებსაც იპყრობს. ბერლინის მთავრობის გაზეთები აღნიშნავენ მთაშაველთა დიდ ვაჟკაცობას და თავგანწირვას ლოვჩენთან ბრძოლის დროს. აქ მათ ჰყოლიათ 30 ათასი ქვეითა ჯარისკაცი, ჰქონიათ 1700 ზარბაზანი. მათ ეხმარებოდა 30 ათასი სერბიელი მეომარიც. მაგრამ მტერმა გასტეხა მათი ძალა და დაიმორჩილა.

ავსტრიელთა გაზეთების აზრით ლოვჩენს ისეთივე მნიშვნელობა აქვს დალმაციის სანაპიროების სადარაჯოდ, როგორც ჰიბრალტარს. კატაროს მიუდგომელ ნავოსადგურად გადააკეთებენ. ახლო-მახლო სანაპიროები, რომელიც ავსტრიელებმა ომის დასაწყისში მიატოვეს, კვლავ დაიჭირეს.

**საბერძნეთის მეფე.**

რადგანაც მოკავშირეებმა ნავთსადგურში ჯარი გადასხეს, საბერძნეთის მეფე და მისი მთავრობა შუაგულ საბერძნეთისაკენ გადავლენ და ეცდებიან ნეიტრალობა არ დაარღვიონ.

**ეგვიპტისაკენ.**

ლონდონიდან დიონეო იწერება: სუეცის არხზე გასალაშქრებლად ემზადებიან გერმანელები, ოსმალები და, ვგონებ, ბულგარებიც. გერმანელმა ინჟინერებმა რკინის გზა უკვე გაიყვანეს სინაი ნახევარ კუნძულის [illegible]. ამ გვარად [illegible] რკინის გზას მხოლოდ [illegible] სწყვეტს [illegible]. ეხლა გერმანელი ინჟინერები [illegible]. ამავე დროს [illegible] გაიყვანეს [illegible].

**მთაშავეთის ბატონიშვილი.**

30 ქრისტეშობისთვეს, როდესაც [illegible] მთაშავეთის ბატონიშვილი მირკო, [illegible] რომში [illegible] 31 ქრისტეშობისთვეს [illegible].

**რამდენი ჯარია ბალკანეთში.**

ბალკანეთში ამ ჟამად გერმანელებს ჰყოლიათ 100 ათასი მეომარი, ბულგარებს—300 ათასი. 30 ათასი [illegible].

**ათინაში.**

[illegible]

**პირაეში.**

[illegible]

**გერმანია და საბერძნეთი.**

[illegible]

**ავსტრო-გერმანელების ზარალი.**

„რ. ს."-ის [illegible] 210 [illegible] 12 [illegible].

**სადან ღებულობს გერმანია საქონელს?**

ინგლისის პარლამენტში დეპუტატმა კლერნმა მოხსენება წაიკითხა და განაცხადა: სკანდინავია დიდ ძალ საქონელს აწვდის გერმანეთსაო. ამ განცხადების გამო ამერიკული გაზეთები გულახდით ამჟღავნებენ; მართალია ამერიკა აუარებელ საქონელს [illegible]

## უკანასკნელი ფოსტა

**აზრუმის გარშემო.**

[illegible] აზრუმი [illegible] 40 ათასი [illegible]

**„რეჩის" აზრი.**

„რეჩის" [illegible]

**საბერძნეთში.**

[illegible]

**ბრიტის გამარჯვება.**

„რ. ს."-ის [illegible]

## ბრძოლის ველზე

[illegible]

ხაზგასმით არის აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ სამხედრო მოქმედება კავკასიის ფრონტზე თითქოს რუსეთ-გერმანეთის ფრონტის ხარჯზე ვითარდება. კავკასიაში რუსის ჯარის წინსვლა ამ მხრივ სიმპტომატიურია. რუსის ჯარის შემოტევა აზრუმის მიმართულებით მეტ წინდახედულობას მოითხოვს. როგორც ვიცით, ოსმალები დეკემბრის მეორე ნახევრიდან რუსებს მიაწვნენ და რუსეთის საზღვრების გადმოლახვას ცდილობდნენ. ოსმალთა ჯარი თითქმის მთელი ფრონტის სიგრძეზე შემოტევას დაადგა. ასეთი ოპერაციის წარმოებას, 1914 წლის დამარცხების შემდეგ, ოსმალები ისე არ დაიწყებდენ თუ რუსებთან შედარებით თანაბარი ძალები არ ეყოლებოდათ. ეხლა როგორც ირკვევა აზრუმის მიმართულების სამოქმედო რაიონში ოსმალების ძალა რუსისაზე მცირეა და სწრაფად უკან იხევს. ასეთ გარემოებაში, ოსმალების შემოტევა რუსეთის საზღვარზე სტრატეგიულ დემონსტრაციად უნდა ჩაითვალოს და მათი უკუ დახევაც შეიძლება ტაქტიკურის მოსაზრებით იყოს გამოწვეული. წინ მიმავალი რუსის ჯარი ამ შესაძლოებას უნდა ანგარიშს უწევდეს და სათანადო ზომებსაც იღებდეს. რომ ეს შეიძლება უბრალო ხერხი იყოს, იმ გარემოებამაც უნდა გვითხრას რომ მაშინ როდესაც აზრუმის მიმართულებით ოსმალეთის ჯარი შედარებით წესიერად იხევს, შავი ზღვიდან მოყოლებული ოლთისის მიმართულებამდე და ვანისა და ურმიის ტბის რაიონებში ძლიერ მოქმედებენ და თუ წინ ვერ მოიწევიან, არც უკან იხევენ. ერთი სიტყვით ქეპრიქეი-ჰასან-კალა—აზრუმის მიმართულებით მიმდინარე ბრძოლა ბევრი ეჭვისა და საკითხის აღმძვრელია. ვნახოთ, ეს ოპერაცია რა მიმართულებას მიიღებს.

**მეგრი.**

### თბილისი, 12 იანვარი.

**ივერიის ეკლესია ეგზარხოსი პლატონის ჩამობრძანების წინ.**

ივერიის ეკლესია დამოუკიდებელი დ ავტოკეფალური გახდა ვახტანგ მეფის დროს, მეხუთე საუკუნეში. ამ დროს შემოვიდა კათოლიკოსობა. პირველი კათოლიკოსი იყო პეტრე. ამა დღიდან იწყება ივერიის ეკლესიის შეუჩერებელი ზრდა, ქრისტეს სჯულის განმტკიცება, სარწმუნოების გარშემო დიდი შემოქმედებითი მუშაობა, საეკლესიო მწერლობის აყვავება, მსოფლიოდ გამოჩენილ ქართველ მამების მოღვაწეობა, საეკლესიო ხუროთმოძღვრების, მხატვრობის და მუსიკის გასაოცარი აყვავება, აუარებელი სულიერი და ნივთიერი დოვლათის შექმნა და დაგროვება. ვერც მოწამეთა რიცხვით, ვერც საერთოდ შეწირული მსხვერპლით და ვერც თავგამოდებით ივერიის პატარა ეკლესიას ვერ შეედრება ვერც ერთი დიდი ქრისტიანი ერის ეკლესია. იმდენი გამანადგურებელი ომი არც ერთ ეკლესიას არ გადაუხდია მეორე რჯულთან ბრძოლაში, რამდენიც გადაიხადა ივერიის ეკლესიამ. საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანი ქართველობა გარშემორტყმული იყო ხმალ-ამოწვდილ ისლამით და მასთან ერთ წუთსაც არ შეუწყვეტია ბრძოლა და მის წინაშე თავი მორჩილად არასოდეს არ დაუდვია. ქრისტეს [illegible] დაცვით აღფრთოვანებული ქართველი ერი ჯანგაუტეხელ სიმტკიცეს იჩენდა. უსასოობა მას არ გაჰკარებია; ძნელად, თუ რომელიმე სხვა ერს ამდენი ამაგი დაედოს ქრისტეს მოძღვრებისათვის, რამდენიც დასდო ქართველობამ და ივერიის ეკლესიამ. მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული ქართული ეკლესია თავის თავის ბატონი იყო დათავის თავისუფლებას სარგებლობდა ქვეყნისა და ეკლესიის სადიდებლად, და წარმატებისათვის. ასე იყო ვიდრე 1811 წლის 10 ივნისამდე, როდესაც კათოლიკოსი ანტონი მეორე, მეფე ირაკლის შვილი, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა რუსეთს გაიწვია და უწმინდეს სინოდში მეხუთე ადგილი მიაკუთვნა. ამ თარიღზე მოისპო ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა, მისი ავტოკეფალობა. გადავარდა კათოლიკოსობა და დაწესდა ეგზარხოსობა.

ახალი ჭრილობის მოსაშუშებლად, იმპერატორმა ალექსანდრემ პირველ ეგზარხოსად ქართველი დანიშნა; ამ გულკეთილობამ მხოლოდ სამი წელიწადი გასტანა. მას აქეთ ივერიის ეკლესიას განაგებენ რუსის ეგზარხოსები. დადგა ხანა ივერიის ეკლესიის შეკუმშვისა გავერანებისა. მიუდგომელი რუსები, როგორც ნ. დურნოვოა, ამას აღიარებენ და მოურიდებლად ამხილებენ რუსის მთავრობას. გაუქმდა მრავალი საეპისკოპოზო კათედრა. რამოდენიმე ათეულიდან გადარჩა მხოლოდ ოთხი კათედრა. 13 საუკუნის განმავლობაში საკუთარ თვითგამგებლობას შეჩვეული ეკლესია, ნამდვილი **თავის უფალი**, რომელიც თავის ტრადიციებზე და აწმყო სულთასწრაფვაზე ამყარებდა და აგებდა თავის მომავლის იდეალს, და რომელშიაც ორგანიულის მემკვიდრეობით აწმყო წარსულზედ მკვიდრდებოდა დ მომავალი კიდევ აწმყოზედ, გადასცდა თავის გზას.

## თბილისის არჩევნები

ჩვენმა გაზეთმა ქალაქის არჩევნებს რამდენიმე წერილი მიუძღვნა. საგანი ღირს იმად რომ კაცი კიდევ დაუბრუნდეს მას და გულდამშვიდებით, ყოველგვარ წინადაღებულ აზრის გარეშე, შეეცადოს საკითხის სწორე დაყენებას და მის მართებულად გადაჭრას. საჭირო მთელმა ქართულმა პრესამ სალი ყურადღება მიუძღვნას და მიუდგომელი რეზოლიუცია გამოიტანოს ამ სასაკითხის თაობაზე. არა - პარტიული ტემპერამენტი და აზროვნება უმცდარ და სალ დასკვნამდე მიგვიყვანს. ჩვენ მოწიწებით ვთხოვთ თანამეკალმე კოლეგებს რომ სწორედ ამ დაყვავებისა და შეთანხმების სულიერ განწყობილებით შეუდგენ ქალაქის არჩევნების საკითხს, რომელსაც უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

დავიწყოთ იქიდან, თუ რა უნდა გავიხადოთ პირველ საზომად, სახელმძღვანელო იდეად, პარტიული პრინციპი, თუ ეროვნული.

ჩვენა გვგონია რომ—ეროვნული და მხოლოდ ეროვნული. ამ დებულების სასარგებლოდ მრავალი საბუთი და მოსაზრება ლაპარაკობს.

ვერ გვინახავს ერთი საბუთიც, ერთი მოსაზრებაც, რომელიც ამ დებულების წინააღმდეგ გზიან რასმე იტყოდეს. ბოდიშს ვიხდით „თანამედროვე აზრის" მეთაური წერილების ავტორთან, თუ ანგარიშ გასაწევ მოსაზრებად არ ჩავთვალო არა ერთჯერ განმეორებული მოსაზრება: საქართველოს სხვა ქალაქებში, სადაც არ სუფევს ეროვნული ნაირ-ნაირობა და მოქალაქენი, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ქართველები არიან, სადაც, მაშასადამე, ფაქტიური ვითარების ძალით საარჩევნო კამპანიაში ეროვნული პრინციპის წამოყენება უნუგეშო აუაზრობა იქნება, რა კარგი დღე ადგია დემოკრატიას ქალაქის მოურავ ჩიქოვან - ანდრონიკოვ - თავდგირიძეებისაგანაო? და ამიტომ ძირს ეროვნული პრინციპი **თბილისშიც**, გაუმარჯოს ინტერნაციულ დემოკრატიასო. დამეთანხმებით, ეს მოსაზრება აქ სრულებით მოსატანი არ არის. იგი თავის ადგილზე არ ზის. ჩვენი აზრისა და დებულების გასაბათილებლად იგი არა სჭრის, ვინაიდგან ჩვენ არსად არაოდეს არ გვითქვამს, იმ ქალაქებში, სადაც ქართული ერთფეროვნებაა, ქართული დემოკრატია მდგომარეობის ბატონია და მბრძანებელიო, ან მის ინტერესებს ძალიანც ექომაგებიანო. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ასეთ ქალაქებში ეროვნული პრინციპის გარშემო საარჩევნო კამპანიის დატრიალება ავადმყოფი ტვინის სამწუხარო გართობა იქნებოდა; ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ასეთ ქალაქებში, როგორც დემოკრატია ისე არადემოკრატიაც თავისუფალი იყო ეწარმოებინა საარჩევნო ბრძოლა ეროვნული პრინციპის გარშემო, რომ ასეთ ქალაქებში თითეული თავის კლასურ თუ პარტიულ პრინციპსა და ლოღიკას დაადგებოდა და თავის მომხრეების გაყვანას შეეცდებოდა. მხოლოდ სინამდვილის დადასტურება იქნება რომ ვსთქვათ, საქართველოს იმ ქალაქებშიც, სადაც ქართველობაა მდგომარეობის ბატონი და პატრონი, დემოკრატიული ნაწილის ინტერესი დაჩაგრულია.

ეს დამოკიდებულია ბევრ რამეზე, უპირველეს ყოვლისა საარჩევნო ცენზზე. ამის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო და მთელი პროგრესიული აზროვნება და საზოგადოება მეტი გადემოკრატების გულისათვის იბრძვის და იბრძოლებს. ამიტომაც, თუ „თან. აზრის" მეთაური წერილების ავტორი დამეთანხმება, მისგან მოყვანილი მოსაზრება არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, თითქოს არსად და არც არაოდეს ერის დემოკრატიული ნაწილი ეროვნული პრინციპით არ უნდა გამოვიდეს ქალაქის არჩევნებში. მაშასადამე, ამ მოსაზრების ამარა, იგი იძულებული იქნება **სადმე, განსაზღვრულ დროსა და გარემოში,** იწამოს ეროვნული პრინციპი. ეს სადმე—თბილისი, ეს გარემოა თბილისის არჩევნები, ეს დროა—დღევანდელი დღე არჩევნებისა. რა ვქნათ თუ ვერც მეორე მოსაზრება, იმავე გაზეთის მეთაური წერილების პატივცემულ ავტორისა, გვეჩვენება დამარწმუნებლად და ჩვენი დებულების დამრღვევად. ეს მეორე მოსაზრება გახლავთ, ვითომც ეროვნული პრინციპით გამოსვლა სრულ უპროგრამობას ნიშნავდეს და მწვავე სოციალ-ეკონომიურ საკითხების გადაფუჩეჩებას ქალაქის დემოკრატიის ცხოვრებაში.

ჩვენა გვგონია რომ არჩევნებში ეროვნული პრინციპით და „ეროვნული რაზმით" გამოსვლა. სრულებით არ მოითხოვს ლოღიკურად თუ არსებითად უპროგრამობას და უმოქმედობას. და თუ თვით პრინციპი ჰგუობს პროგრამიანობასა და მოქმედებას, არ მესმის, რისთვის ისე არ უნდა ვეცადნეთ, რომ ეს პროგრამა და ეს მოქმედება, თითეულს თვისი საკუთარი დაცულად და სახელმძღვანელად დაურჩეს. განა არ შეიძლება მოხდეს იმავე ეროვნულ ორგანიზაციაში იმავე ეროვნულ საარჩევნო რაზმში წინასწარი შეყაბულება, ამდენი ხმოსანი ამ მიმართულებისა იყოს დ ამდენი—იმისა. თუ წინდაწინვე შეურიგდებით ეროვნულ პრინციპს და შეთანხმებისა და დაყვავების გრძნობით შეუდგებით საქმეს, დამერწმუნეთ ეს შესაძლებელი იქნება და ყოველი არჩეული ხმოსანი ქალაქის საქმეების მართვაში ეცდება თვისი „პოლიტიკის" ხაზის გაყვან-გამოიყვანას. ამგვარად, თუ ეს ჩვენი აზრი სწორია—და წინააღმდეგს დამტკიცება უნდა,—„თანამედროვე აზრის" მეთაური წერილების პატივცემული ავტორი, დაგვეთანხმება, რომ ეს მეორე მოსაზრებაც არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად რომ ერის დემოკრატიულ ნაწილს არსად არასდროს არ გამოესვლებოდეს ქალაქის არჩევნებში ეროვნულის პრინციპით. მაშასადამე, ამ მოსაზრების ამარაც, კაცი იძულებული იქნება **სადმე, განსაზღვრულ დროსა და გარემოში** იწამოს ეგ ეროვნული პრინციპი. ეს სადმე—თბილისი, ეს გარემოა—თბილისის არჩევნები, და ეს დროა—დღევანდელი დღე არჩევნებისა.

ამგვარად, რადგანაც ყოფილა ისეთი ადგილი და გარემო, სადაც ერის დემოკრატიული ნაწილი მდგომარეობითვე ვალდებულია ეროვნული პრინციპი გამოვიდეს, ისღა დაგვრჩენია ვიკითხოთ, კერძოდ თბილისი არის ასეთ ადგილად დ პუნქტად ჩაითვლება თუ არა? ჩვენ გვგონია რომ კი. თბილისი საქართველოს დედა-ქალაქია. საქართველო ცარიელი სიტყვა არ არის, მოგეხსენებათ. იგი ერთგვარ მოვალეობას დააკისრებს ყოველ შეგნებულ ქართველს. საქართველოს სოფლები და დაბა-ქალაქები თბილისის ორბიტშია მოყოლილი, მას ასაზრდოებენ და მისგან საზრდოებს. თბილისი საქართველოს ნამდვილი გულია. მასზედ ქართველი ხალხი ხელს ვერ აიღებს. მრწამს, „თანამ. აზრი"-ს მეთაური წერილების ავტორი ამას ვერ ეტყვის, როგორც არც აქამდე უთქვამს, თავის გაზეთის მკითხველებს. დღეს ამ ჩვენ დედაქალაქში, საქართველოს ცენტრში, ასეა თუ ისე, სომხობა არის გაბატონებული. მთელი ქალაქის ცხოვრებას ტონს იგი აძლევს. ვიცით, ეს გაბატონებული მდგომარეობა თურამდენად შველის სომხობას ფართე ეროვნული საქმისა დ მიზნის მისაღწევად. ვიცით რომ ამ მდგომარეობის წყალობით, იგი ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს საქართველოშიც და მის გარეშეც.

მე მგონი რომ ქართველი პუბლიცისტი და მოღვაწე, რომელსაც თავისი ერის მომავალი სწამს და მას ემსახურება მთელის თავის ძალღონით, ვერ იქადაგებს და ვერ იბრძოლებს იმისთვის, რომ თბილისში სომხობის ბატონობის „სტატუს-კვო" დარჩეს, რომ ამიერიდან უკუნისამდე ქართველობა მორჩილი ელემენტი იყოს თავის საკუთარ დედა-ქალაქში. ერთ წუთითაც არ მინდა შევიწყნარო ის აზრი რომ ეს შესაძლებელი იქნება, რომ „თანამედროვე აზრის" ხელმძღვანელი ამგვარ რამეს გაიზიარებდეს. ხომ? მე სულ სხვანაირად წარმომიდგენია. ყოველი შეგნებული ქართველი და უპირველეს ყოვლისა გავრცელებული და დემოკრატიული ორგანოს ხელმძღვანელი, გაწვრთნილი პოლიტიკური მოღვაწე, მიზნად დაისახავს და პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოძებნას შეუდგება რომ თბილისში ქართული ელემენტი გააძლიეროს, რომ იგი ეცდება თბილისის "სტატუს-კვო" დაარღვიოს სწორედ საქართველოს სასარგებლოდ და თავის სურვილით ჩამოსული და დაბინავებული სომხობა ბატონის ტახტიდან ჩამოაბრძანოს. მე წარმომიდგენია, მთელი ქართული იკონომიური და პოლიტიკური სისტემა, რომელიც მიმართული იქნება თბილისის გასაქართულებლად და დასაპყრობად. არა ხელის აღება თბილისზე, არამედ მასზე ხელის დადება—აი დევიზი. ვინ უნდა განახორციელოს ეს? თუ საქართველოს დაწინაურება და მომავალი მოითხოვს ამას, განა შეიძლება ორი პასუხი იყოს ამ დასმულ საკითხზე!! ვინ და მთელმა ქართველობამ. ხოლო დემოკრატიულმა ელემენტმა, როგორც მრავლის უმრავლესმა ნაწილმა და მასთან მისმა მყარმა საძირკველმა. პირველობა და ბელადობა უნდა დაიჩემოს.

მაშ, ხომ სავალდებულო ყოფილა ერის ყველა ნაწილის შეერთება და ამ შეერთებულ ქართველობაში დემოკრატიის ბელადობა—ეროვნულ პრინციპზე ეროვნულ დროშით ხელში?! ეს საერთოდ თბილისის შესახებ. ვნახოთ კერძოდ თბილისის არჩევნები. ყოველდღიური საქმიანობა და ნაბიჯი თბილისის ცხოვრებაში უნდა ემორჩილებოდეს იმ მთავარ მიზანს, რომელიც ზევით აღვნიშნეთ და რომლის

სავალდებულო ხასიათი ყოველი ქართველისთვის კამათის გარეშე დგას. ერის მომავალი, როგორც წინასწარად შეცნობილი ფორმა, უნდა სტიმული იყოს ყოველი ქართველის მიზანშეწონილი მოქმედებისა და წარმოადგენდეს წინა ხანში ყოველდღიურად დახარჯულ ენერგიათა ჯამს.

არჩევნები ერთი ისეთი ასპარეზია, სადაც ქართველბის ენერგია უნდა მიზანშეწონილად დაიხარჯოს, რადგანაც არჩევნების საშუალებით ხდება ამა თუ იმ ერის ბატონობა თბილისზე და ეს ბატონობა კანონიურ სახეს იღებს. თბილისის ცხოვრებაში ყოველი წვრიმალი საქმე თუ საკითხი ისევე სავალდებულოდ უნდა სწყდებოდეს და კეთდებოდეს მთელი შეერთებული ქართველობის ძალით, როგორც ყოველი დიდი საქმე, როგორც მთელი თბილისის ბედიც. სადა ეროვნული საქმეა გასაკეთებელი, იქ ყოველგან ერთად, ყოველგან შეერთებულად უნდა ვიყვნეთ, რაგინდ უმნიშვნელო და წვრიმალი იყოს ეს საქმე. თუ ეს ასეა, „თანამ. აზრის“ ხელმძღვანელმა თბილისის არჩევნებში უნდა სავალდებულოდ იცნოს, დაცვა ეროვნული პოზიციისა და ეროვნული შეერთებისა, რომელიც როგორც ზევით დავინახეთ, არც დემოკრატიის და არც არადემოკრატიის ინტერესს არ შეიწირავს ზვარაკად, რომელიც არც უპროგრამობას გულისხმობს და არც უმოქმედობას. დღეს ყველაზედ უფრო, ვიდრე სხვა დროს, ქართველობას სჭირია ბელად და ხელმძღვანელ ორგანოებისაგან მოესმას გადაჭრილი სიტყვა ეროვნული შეერთებისა. დასთესეთ ეს კეთილი თესლი. ამაზედ დიდ საქმეს ვერას გააკეთებთ. ნუ გვიპასუხებთ ვულგარულად თხა და მგელი ერთად ვერ იძოვებსო! მაგალითები თქვენც იცით და ჩვენც. გედი, სემბა, ვანდერველდე შიგ სამინისტროში სხედან. ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს! სოციალისტები, ბურჟუა-დემოკრატები, რადიკალები, როიალისტები ერთად არიან, ერთად იბრძვიან ერთი სამშობლოს გულისათვის, ეროვნული იდეისა და იდეალისათვის. ესეც რამეს უნდა ნიშნავდეს. მაგრამ ეს ხომ თქვენც იცით. მაშ რა გვიშლის ხელს? ვიქმნეთ გულწრფელნი, ავმაღლდეთ პარტიულზე, გავიზარდნეთ სულით! და მაშინ ეს ეროვნული ერთობა ჩვენც შევვძლება ისე კარგად და ლამაზად, როგორც ლამაზად და კარგად შეასრულეს ეს დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა საზოგადოებრივმა მიმართულებამ.

ყველა ამ მოსაზრებას მივმართავდი სოციალისტ-ფედერალისტებსაც. მაგრამ ვგრძნობ საშინელ უხერხულობას. უთუოდ მიპასუხებენ, თქვენზე ადრე ეს ჩვენა ვთქვითო. და არც შეგიძლიანთ ასეთი შენიშვნა არ მიიღოთ თქმით, მართლაც აქვთ ნათქვამი, როგორც **ისიც აქვთ ნათქვამი**, რომ წინაალმდეგ იმ მიმართულების ხალხისა (ე. ი. ჩვენ), რომელიც ეროვნულ პრინციპით გამოდის თბილისის არჩევნებში, ჩვენ (ე. ი. ფედერალისტები) გამოვდივართ დემოკრატიის პრინციპით და უნდა შეუთანხმდეთ სხვა ერთა დემოკრატიასო (იხ. „მეგობრის 73 №-ში გრ. გველესიანის წერილი). თქმით „სახალხო ფურცელიც“ ლაპარაკობს, მაგრამ საქმით არაფედერალისტ ქართველებთან საქმეს არ იჭერს და აოშაკ ბაბოვის „დემოკრატიულ“ პარტიას უკავშირდება.

საჭიროა „სახალხო ფურცელმაც“ და „მეგობარმაც“ მოიშალონ საკამათო რეზერვის წინასწარი მომარაგება და მკაფიოდ და გარკვევით სთქვან რომ ერთად ერთ პრინციპად თბილისის არჩევნებში ეროვნული პრინციპი ▷ ორგანიზაცია მიაჩნიათ და რომ საქმითაც ამას გააკეთებენ.

ამ გვარად, როდესაც ვითვალისწინებთ იმათ მოქმედებას და მოსაზრებათ, ვინც ქალაქის არჩევნებში დღემდე ეროვნულ პრინციპს თუ მოქმედებას დარიდებია, ის შთაბეჭდილება გვრჩება, რომ საკითხი გამორკვეული არ არის და რომ უსაჭიროესი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ჰხდება **განყენებული** პრინციპის ბრძანებით და არა ჩვენი ქვეყნის **რეალ საჭიროებისა და ინტერესის მიხედვით.**

საჭიროა ხელახლა გადაისინჯოს, ეროვნული მოთხოვნილება-ინტერესის მიხედვით, დღემდე სახელმძღვანელოდ გაბატონებული პრინციპი. გვწამს, მიუდგომელი გადასინჯვა, კერძოდ ამ საკითხში, ეროვნულ შეერთების და დარაზმვის ლოზუნგამდე მიგვიყვანს. ამ შემთხვევაში გამოსარკვევად დაგვირჩება, თუ ბრძოლის რომელი ხერხი აირჩიოს შეერთებულმა ქართველობამ თბილისის არჩევნებში და რა მოსაზრებით. ამაზედ შემდეგ.

ს. კედია.

# ახალი ამბავი

**წმ. ნინოობა.** ხვალ საღამოს, ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს დღესასწაულის გამო სიონის საკათედრო ტაძარში მლოცველია საქართველოს ახლად დანიშნული ექსარხოსი პლატონი. ლოცვაზე მიწვეულია საგალობლად ქართულ ფილარმონიის საზოგადოების გუნდი, რომელიც დღესასწაულის დღესაც 14 იანვარს იგალობებს.

**საქართველოს ექსარხოსი** ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი დღეს დილის 10 საათზე ჩამობრძანდება თბილისში.

**არქ. პიროსი** როგორც პეტროგრადიდან გვატყობინებენ დეპეშით, 11 იანვარს უკურთხებია ეპისკოპოსად მიტროპოლიტ პიტირიმს, ხოლო ხელდასხმა მოხდება 17 იანვარს. კურთხევაზე უგალობნია ქართულ გალობის მოყვარულთა გუნდს.

**ვ. ბრიუსოვის მოსვლა.** დღეს, თბილისში მოელიან ცნობილ რუს მგოსანს ვალერიან ბრიუსოვს, რომელიც ლექციების წაკითხვას აპირებს.

**შიო მღვიმელის დილა,** რომელიც იანვრის 14-ს უნდა გამართულიყო, ვერ გაიმართა, რადგან გამოირკვა, რომ ეს დღე უხერხულია დილის გასამართავად. დილა სხვა დროსთვის გადაიდო. სათანადო კომისია ენერგიულადა მუშაობს და იმედი აქვს, რომ დილა (ან საღამო) გაიმართება არა უგვიანეს იანვრის მიწურულისა ან თებერვლის პირველ რიცხვებისა.

**სწავლა** ყველა თბილისის სასწავლებელში, როგორც ქალებისა ისე ვაჟებისაში წმ. ნინოობის დღესასწაულის გამო არ იქნება და მოწაფენი განთავისუფლებულ იქნებიან სწავლისაგან.

**ქალთა სასწავლებელი,** წმ. ნინოს სახელობაზე დაარსებული 14 იანვარს უქმობს თავის ეკლესიის დღეობას. წირვის შემდეგ წლიური აქტია დანიშნული.

**კავკ. მეფუტკრეთა** საზოგადოებას საერობო თანხიდან მიეცა დახმარება 200 მანეთი.

**ქართული წარმოდგენა.** ოთხშაბათს, 13 იანვარს, ქართულ დრამატიულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი ცნობილი პიესა სობ-სამარინისა, **„იუდას მემკვიდრე“.**

გუშინ „საქართველოს“ რედაქციამ მიიღო 37 მან. **„ძმური სიტყვის“** გაყიდვისა სამტრედიის გამგეობისაგან. და გუშინვე საქველმოქმედო საზოგადოებას გადასცა.

**ზვავის მსხვერპლნი.** თბილისის გუბერნატორს ეცნობა, რომ კავკავის გზაზე სადგურებ გუდაურსა და კობ შუა ჩამოწოლილ თოვლის ზვავს უმსხვერპლია კობის სადგურის მეეტლეები ჯაოუმაიძე და მიდელაური.

**თავდასხმა.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ეცნობა, რომ ჰიაურში სადგურ ლაგოდეხსა და სიღნაღ შუა მგზავრებს თავს დასხმიან შეიარაღებული უცნობები და ვ. გაჩეჩილაძისთვის 266 მან. წაურთმევიათ.

**ქალაქთა კავშირის ხარჯთ-აღრიცხვა.** კავკასიის ქალაქთა კავშირის ბიურომ თვის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ხარჯთ-აღრიცხვანი მომავალ წლისა. საერთო ჯამი მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა უდრის 2,500000 მანეთს.

**საკვები პუნქტები.** სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის წარმომადგენელმა ბ-ნმა ბერნოვმა წინადადება მისცა ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას გახსნას საკვები პუნქტები ხორუმსა, ძანძახსა, ხოროსანსა, ხოფასა და კეპრი-კეში.

**სადეპუტატო საკრებულოში** 10 იანვარს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ კ, ნ. აფხაზის თავმჯდომარეობით განაწილდა ის თანხა რომელიც თავ.-აზ.საზ.კრებამ გადასდო. კრებას ქართულ-კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა წევრნიც დაესწრნენ. კრებამ გადუწყვიტა: ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებას 300 მანეთი (200 უკვე წაღებული აქვს) სახალხო სახლთან ქართულ წარმოდგენების მმართველ წრეს 800 მანეთი (500 წაუღიათ) ზ. პ. ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“ ნოტების გადასაწერად 200 მანეთი, ქართველ ქალთა ჭრა-კერვის ხკოლას 200 მან., ვ. კერესელიძეს წიგნების გასავრცელებლად 100 მან. ჟურნალ „განათლებას“ 100 მან. ქართულ გიმნაზიის უფასო სასადილოს 300 მან. და ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოებას სანატორიისათვის 300 მ.

**ავტომობილების მიღება.** ქალაქთა კავშირის კავკასიის ბიურომ არხანგელსკში გაგზავნა თვისი რწმუნებული, რომელმაც უნდა ჩაიბაროს 21 ავტომობილი, მიღებული ამერიკიდან თვის საჭიროებისათვის.

**სკოლების გახსნა აჭარაში.** როგორც ვიცით, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას განზრახული ჰქონდა 4 სკოლა გაეხსნა დღეს სამახმადიანო საქართველოში იმ თანხით, რომელიც ამ საქმისათვის შემოსწირა საზოგადოებას მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტმა. მაგრამ სკოლების გახსნა დღეს აღარ მოხერხდა ფორმალურ ხასიათის დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო.

**ხორცის კრიზისი.** თბილისის ბაზარზე ხორცის შოვნა ძლიერ გაძვირდა. ის ყასბები-კი რომელნიც დამალულ ძროხის ხორცს ჰყიდდენ გირვანქას 30 კაპ. ნაკლებ არ იძლევიან, ხოლო ღორისას „ნაცნობობით“—40 კაპეიკად.

**ქალაქის საეკონომიო საზოგადოება,** მომხმარებელ სავაჭრო სახლს ველიამინოვის ქუჩაზე ხსნის 15 იანვარს.

**თბილისში ჩამოვიდა** მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი არქ. დოსითეოსი, რომელიც არქ. პიროსის ნაცვლად იქმნა დამტკიცებული.

**კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოების** მთავარ-გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწე ინფანტერიის გენერალი ნ. ნ. იანუშკევიჩი.

**სურსათი.** 9 ამა თვეს თბილისში შემოვიდა რკინის გზით 30 ვაგონი ფქვილი.

**გადამდები სენი.** 10 იანვარს ქალაქის საავადმყოფოში იწვენ: ქუნთრუშიანი 154, ხუნაგიანი 34, სახადიანი 24 და საოფლიანი 11 კაცი.

**ბანკეტი.** თბილისის ვაჭართა მამასახლის ა. ნ. მილოვისა, „მშაკის“ რედაქტორის არაქელიანისა და დ. იუზბაშიანის თაოსნობით საარტისტო საზოგადოების დარბაზში ბანკეტი გაუმართეს ამერიკულ მისიონერებს, რომელსაც ამერიკის კონსულიც დაესწრა. რამდენიმე სიტყა წარმოითქვა. სხვათა შორის ილაპარაკა დრამატურგმა შირვან ზადემ.

### ქუთაისი.

— დღეს, 12 იანვარს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში ქუთაისის გუბერნიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება მართავს სტუდენტთა ტრადიციულ საღამოს.

— ამ მოკლე ხანში ქუთაისში მოხდება იმერეთის სამღვდელოების ყრილობა. ასეთი ყრილობა ყოველ წლობით ხდებოდა, მაგრამ გასულ წელს ომმა შეუშალა ხელი.

— 1897 წ. დაბადებულთა სიების შედგენა სათანადო დაწესებულებებმა უკვე დაასრულეს. მათი გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ მოხდება თებერვლის თვის პირველ რიცხვებში.

— ქუთაისის გუბერნატორმა ქუთაისის ქართველ ქალთა წრეს ნება დართო, რომ 14 იანვარს, მოაწყოს ქუთაისში წმ. ნინოს სურათების გაყიდვა. ამ სურათების გაყიდვისაგან წმინდა შემოსავალი გადაეცემა ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე თავად-აზნაურთა კომიტეტს.

# არქიელის ჩამოსვლა

მეფის მოადგილემ შემდეგი წესი დაამტკიცა საქართველოს არქიელის ყოვლად უსამღვდელოესს პლატონის დასახვედრად:

არქიელი თბილისში ჩამობრძანდება დღეს, 12 იანვარს დილის 10 საათზე. სადგურზე დაუხვდებიან: მეფის მოადგილის თანაშემწე, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი, გუბერნატორი, კომენდანტი, თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლი, ქალაქის მოურავი და პოლიცმეისტერი.

სადგურიდან არქიელი სიონის საკათედრო ტაძრისაკენ გაემართება საგანგებოდ გამზადებული ეტლით, გვერდით ეყოლება მეფის მოადგილის თანაშემწე, ეტლს წინ წაუძღვება პოლიცმეისტერი და 57 დონის კაზაკთა პოლკის რაზმი, რომელიც პოლიცმეისტრისა და არქიელის ეტლების შუა იქნება მოქცეული. სიონში მისვლის დროს, უნდა დაუხვდნენ ყველა ის თანამდებობის პირნი, გენერლები, შტაბ-აფიცრები და სამოქალაქო უწყების მე-IV კლასის მოხელენი, ვინც კი სადგურზე დაუხვდება. სიონის წინ ამქრები ჩამწკრივდებიან თავისი დროშებით. სიონის ტაძრიდან არქიელი ლიტანიით გაემართება არქიელის ეკლესიისაკენ. ამავე დროს სამხედრო და სამოქალაქო პირნი არქიელის ბინაზე შეიკრიბებიან. კარის ეკლესიიდან არქიელი საარქიელო სახლის დარბაზში გავა. აქ დამსწრეებს არქიელს წარუდგენენ მეფის მოადგილის თანაშემწენი თავისი უწყების პირთ, დანარჩენთ კი წარუდგენენ გუბერნატორი და კამენდანტი. სამხედრო პირნი საომარ ფორმით იქნებიან, უმაღლესი ჯილდოთი შემკულნი, სამოქალაქო პირნი კი საზეიმოდ იქნებიან გამოწყობილნი.

# ქართული ეკლესიის გარშემო

ამას წინად „გოლოსში“ დაბეჭდილი იყო წერილი, საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ქართველი სამღვდელოება ყოველთვის აცხადებდა, კავკასიის ეკლესიათა საქმეს მე უნდა განვაგებდეო. მას სურდა და სურს კიდეც დაიმორჩილოს კავკასიის ქრისტიანული ერები. რუსეთის მთავრობა ხშირად სცდებოდა, როდესაც ქართველ ერს ანგარიშს უწევდა, სხვა ერებთან ერთად და ხელში აძლევდა მისიონერობის უფლებას, მაშინ როდესაც მრავალი მთიელი ხალხი მზად იყო ქრისტიანობა პირდაპირ ჩვენგან მიეღოთ, ვიდრე ქართველების ხელით. მისიონერთა პოლიტიკის შეცდომის გამო კავკასიაში ქრისტიანობამ ვერ გაიმარჯვა ისლამზე.“

წერილის ავტორს, „პეტროგრადსკია ვედომოსტის“ ფურცლებზე გამოეკამათა ბ-ნი სოგიუსტი:

„ასეთი ბოროტი ცილისწამებანი ქართულ სამღვდემოებაზე რუსულ გაზეთების ფურცლებზე კარგა ხანია აღარა დაბეჭდილა რა. საოცარი ის გახლავთ, რომ „პროგრესიულ“ გაზეთში არა თუ ცილსა სწამებენ ქართულს ეკლესიას,—მთავრობასაც აფრთხილებენ „ძველი შეცდომები არ განიმეორონო“.

კავკასიაში „ქრისტიან ხალხთაგან“, რომელნიც ქართველთა სარწმუნოებას არ ეთანხმებიან, მხოლოდ ერთი გამლავთ და ეს ერთიც სომხობა გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ-სომეხთა საუკუნეთა წარმომადგენელნი სულ იმის მეცადინეობაში არიან, რომ ამ ორ ერის შუა ძმობა და სიყვარული არსებობდეს, ქართველი სამღვდელოება არასოდეს არ სცდილა რაიმე მისიონერების როლი ეკისრნა სომეხთა შორის გასავრცელებლად. რაც შეეხება დანარჩენ „ქრისტიან ერებს“ რუსებს, ბერძნებს თუ სხვათ, „ეროვნულ ურთიერთობაში“ არავითარი როლი არ უთამაშნია დღემდე. იმის მტკიცება, ვითომც „ქართველ სამღვდელოებას“ ოდესმე მაინც მოესურვებინოს „ქრისტიან ხალხთა დამორჩილება“ შეუსაბამო ცილისწამებაა, რასაც არასოდეს ადგილი არ ჰქონია. კერძოდ რუსთა და ქართველთა შორის თუ რაიმე უთანხმოება ყოფილა, მხოლოდ მთელი მხარის მართვა გამგეობის გამო და არა ეროვნულ ნიადაგზე.

შემდეგ, ვისაც კი ელემენტარი ცოდნა აქვს საქართველოს ეკლესიის ისტორიისა, მას კარგად ექნება წარმოდგენილი, რომ ქართულ ეკლესიას არასოდეს არ გამოუჩენია ჩაგვრა ანუ ძალდატანება მთიელთა შორის, რომ ძალათი მიეღებინებინა ქრისტიანობა. „მართლმადიდებლობის გამავრცელებელი საზოგადოება კავკასიაშიაც რუსის ეკლესიის მიერ იყო დაწესებული და მისიაც რუს ეგზარხოსების ხელში იყო. რაც შეეხება იმას, ვითომც მაჰმადიანობის გაუქრისტიანებლობა სულ ქართველ მისიონერების ბრალი იყოს, ესეც აბსურდია, ვინაიდან ჯერ ერთი, მისია, როგორც ვსთქვით, რუს ეგზარხოსების ხელში იყო და მეორეც, ქრისტიანობას ისლამი ვერ დაუმარცხებია არც ყაზანში და არც ყირიმში, თუმცა იქ მოქმედებდნენ და იღვწოდნენ არა ქართველი მისიონერები, არამედ **რუსები**“.

„გოლოსი“ საპასუხოდ თავის მხრით „საქართველოს“ აღარა აქვს რა სათქმელი, გარდარუსთაველის უკვდავ სიტყვებისა: „კარგი რამ გეტრფეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“-ო. არც ასეთი „სიავე“ გვაკვირვებს, იგი არ ახალია, ძველია...

# აჭარის გასაჭირი

(შემდეგი)

სოფ. კიბეს. მცხოვრებთ მხოლოდ ცარიელი კედლები და დარჩათ, სახლების კარ-ფანჯრები გამოღებულა, იატაკი აყრილი და წაღებული. ისინი შიშველ-ტიტველნი შეხიზნებიან მეზობლებს, ბევრი მათგანი კონკის ძველებში იყო გახვეული, სახე ჩამომხდარი, ჩაყვითლებული, ადამიანის ფერი აღარ ედოთ. მათი ბედი მით უფრო მწარეა, რომ მათ განუსაზღვრელ დრომდე უფლება არა აქვეთ თავისი გაპარტახებული კარ მიდამო განაახლონ და კერაზე ჩამქრალი ცეცხლი კვლავ გააღვიონ. უპირველესად მათთვის საჭიროა კერაზე დაბრუნების ნებართვა და გრძელვადიანი სესხის მიცემა ქირის აღსადგენად. მართალია ამ სოფლის მცხოვრებლებმა სათითაოდ მიიღეს კომლზე 4 ფუთი სიმინდი და საკვებად თითო ფუთი, მაგრამ ეს დახმარება წვეთია ზღვაში. მათ დაუყონებლივ სჭირდებათ ლოგინი, საცვლები, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საზრდო.

ქედა-ხერთვისის მცხოვრებნიც ასეთ ტაფაში იწვიან. ამ სოფელში 18 კომლიდან 4 კომლია არის. მათაც აკრძალული აქვთ აქ ცხოვრება. ორი კომლი სოფ. კოპისთაეს შეხიზნებია, ორიც ჩაქვს და კახაბერს. მათ ისეთივე დახმარება ესაჭიროებათ, როგორც კიბელებს, თუმცა მათი სახლები გადაწვეს გადარჩენილა.

სოფ. უგეეში 52 კომლიდან დარჩენილა 8 კომლი, მოლისში 27 კომლიდან—11 კომლი, მამლისეში 19 კომლიდან 7, ხალახმელაში 20 კომლიდან—3, მაკლაკრში 5 კომლიდან—3, ქედ-ქედაში 19 კომლიდან—3 კომლი. ამ სოფლებს ესაჭიროებათ სახლების აღდგენა, საზრდოს მიწოდება და სამუშაო საქონელი, ურომლისოდაც მათი უზრუნველყოფა სავსებით შეუძლებელი გახდება.

ამ კუთხის გამომძიებელთა აზრით აუცილებლად საჭიროა:

1) ნება მისცენ დარჩენილ ხალხს იცხოვრონ ამ ზამთარს მიტოვებულ სახლებში.

2) საომიდო მცხოვრებლებისათვის გამოითხოვონ მუდმივი მოწმობანი ბათომში მისვლა-მოსვლისა, ამ წლის გასვლამდე, ხოლო მერე განუახლდეთ მოწმობები ერთის წლით.

3) ციხე-სიმაგრის ფარგლებში მოქცეულ [illegible] მცხოვრებთ ნება მიეცეთ [illegible] ცხოვრებისა, თავის საკუთარ მიწა-წყალზე. ხოლო თუ ასეთი ნებართვა მოხერხდა, დაუყონებლივ მიეცეთ მათ გრძელვადიანი სესხი დანგრეულ სახლების აღსადგენად.

4) მთელი ამ კუთხის დაზარალებულთა დასახმარებლად გამოიძებნოს სახსარი, რომ მათ მიეცეთ გრძელვადიანი სესხი, აგრეთვე სესხი დაუბრუნებლადაც, რომ მოახერხონ სახლების აღდგენა და მიწის დასამუშავებელი იარაღის შეძენა.

5) გამონახოს სახსარი, რათა აღმოუჩინოთ მათ დახმარება სურსათ-სანოვაგით, საცვლებით, ლოგინით, ტანისამოს-ფეხსაცმელით, სამეურნეო იარაღებით და სხ. ამისათვის თითოეულ სოფელში უნდა შედგეს კომისია, რომელშიაც დამხმარე კომიტეტის ორი წევრი მაინც იქნება და საერთოდ შეიმუშაონ დახმარების წესი და რაოდენობა.

6) უკეთუ საჭირო თანხა აღმოჩნდა, საჭიროა ზემოხსენებულმა კომისიამ საშუალოდ 300 მანათი მისცეს კომლზე.

7) დახმარებისათვის თანხის რაოდენობა: გამოკვლევის ვარაუდით უდრის: ა) საკვებისათვის 1780 მან. სულ დაზარალებული არის 139 კომლი, ზედმიწევნით 700 სული, რომელთაც თანაბარი დახმარება არ ესაჭიროებათ. თითო სულზე, დღეზე ნავარაუდევია 1 ფუთი სიმინდი (ფუთი 1 მ.), პატარაზე ნახევარი ფუთი. ბ) ლოგინი, ფეხსაცმელი, საპნები და სხვა თითო კომლზე 10 მან.—სულ 1390 მ. გ) სამუშაო საქონლისა და იარაღის შესაძენად ყოველ ათ კომლზე თითო ხარი ანუ სულ 40 ხარი (თითო 50 მან.)=2000 (საერთოდ ყველა სოფლებს დაეკლებათ ომიანობის გამო 90 მუშა საქონელი, 222 ძროხა, 1203 ცხვარი და თხა, 1266 ძირი ფუტკარი) დ) სახლების აღსადგენად თითო კომლზე საშუალოდ 150 მ.=სულ 20530 მ.

ამგვარად ხერთვისის სოფლის საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო ყოფილა 26 ათასი მანათი.

(შემდეგი იქნება)

# „ალორძინების“ კრება

10 იანვარს მოხდა „ალორძინების“ საზოგადო კრება. გამგეობამ წაიკითხა მოხსენება, საზოგადოების მოქმედებისა. გამგეობას, საკუთარი მაღაზიის გახსნამდე უყიდნია და წევრთა შორის დაურიგებია მხოლოდ შაქარი, საიდანაც 87 მ. და 29 კაპ., მოგება დარჩენია. საკუთარი მაღაზია გაუხსნია 10 ღვინობისთვეს, დამიენის ქუჩაზე. დღიური ვაჭრობა პირველ ხანებში 200 მანეთს არ აღემატებოდა, უკანასკნელ დროს-კი ე. ი. ქრისტეშობისთვეში 700 მანეთამდე ასულა. გამგეობას ჰქონია დამოკიდებულება სხვა კოოპერატივებთან და ქალაქის თვითმართველობასთან; ქალაქის თვითმართველობა უნდოთ მოპყრობია და ნაკლები ყურადღება მიუქცევია ამ საზოგადოებისთვის, სხვა საზოგადოებებთან შედარებით. გამგეობამ სთხოვა საზოგადო კრებას ნებართვა: მაღაზიის გაფართოებისა, მოსამსახურეთა რიცხვის გამრავლებისა და მათი ჯამაგირის მომატებისთვის. გამგეობის თხოვნა კრებამ უკამათოთ მიიღო.

კრებამ გამოსთქვა სურვილი: შევიდეს წევრად „კავკასიის კოოპერატიულ საზოგადოებათა კავშირში“, რის გამო თვითოეულ წევრზე „ალორძინებამ“ უნდა გადაიხადოს 1 მ. 50 კ. ეს ფული გადახდება „ალორძინების“ და არა წევრებს. აგრეთვე გამოსთქვა სურვილი და თანხმობა: შეიძინოს ერთი აქცია მოსკოვის საერთაშორისო კოოპერატიულ საზოგადოებათა ბანკისა, ღირებული 250 მანეთად. კრებამ ნება დართო გამგეობას: გაიხსნას კრედიტი ბანკებში, საწარმოო თანხის რაოდენობის მიხედვით. ამასთანავე კრებამ ნება დართო: მოაწყოს ბანკის საშუალებით, საქონლის თანდათანობითი გამოსყიდვის საქმე.

ვერაზე არსებული კოოპერატიული საზოგადოება „კავშირი“ „ალორძინებას“ შეუერთდა.

კრებამ დაადგინა: იმ წევრებს რომელთაც ექვსი თვის განმავლობაში საპაიო და საწევრო ფული არ შემოუტანიათ, ან 50 კაპ. შემოიტანეს, გაუგრძელდეთ ვადა 1 მარტამდე; უკეთუ ამ ვადამდე არ შემოიტანენ, წევრობიდან გამორიცხულად ჩაითვალონ.

შემდეგ მოხდა გამგეობის ორი წევრისა და სამი კანდიდატის არჩევნები, წევრებათ აირჩიეს: კონსტანტინე ოჯინკო—128 ხმით და სანდრო ფარნიევი—125 ხმით; კანდიდატებათ აირჩიეს: ლორია—84 ხმით, პარმენ ყიფიანი—84 ხმით და ზურაბიშვილი—60 ხმით.

გაზ. „საქართველოს“ კანტორა აცხადებს,
რომ ბათომის ხელის მომწერლებმა ფული უნდა წარადგინონ ბათომში არსებულ „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში.

# დავეხმაროთ სტუდენტებს!

(ქუთაისი)

დღეს ტატიანას დღეა...

დღესასწაული ჩვენის მოზარდი თაობისა.

საზოგადო საკრებულოს დარბაზში ტრადიციული საღამო იმართება.

იმართება სტუდენტთა საღამო, როგორც ყოველთვის.

იმართება, როგორც ჩვენში ისე რუსეთის სხვა ქალაქებშიაც.

12 იანვარი—ეს ისტორიული დღეა სტუდენტთა ცხოვრებაში. ამ დღეს ყველა იმაზე ფიქრობს, თუ რით დაეხმაროს ნივთიერად ჩამორჩენილ სტუდენტობას.

ყველა თავის წვლილს იღებს მათ დასახმარებლად.

ჩვენც ამაზე უნდა ვიფიქროთ და ჩვენი წვლილი გავიღოთ, რომ სამშობლოში დარჩენილი სტუდენტები სწავლის გასაგრძელებლად რუსეთის ცივ ქალაქებში გავისტუმროთ.

მაგრამ გავისტუმროთ ისე, რომ იქ, უცხოეთში, შიმშილით და სიცივით არ დაიხოცნენ!..

ნუ დავივიწყებთ დღევანდელ ისტორიულ დღეს და ყველამ სტუდენტთა საღამოზე გავსწიოთ.

დავესწროთ საღამოს და დავსტკბეთ ჩვენი მოზარდი თაობის შრომით.

დავსტკბეთ ჩვენ და მათ იმედი მივსცეთ.

ისინი ხომ ჩვენი მომავლის იმედნი არიან.

გადავდვათ ერთი საღამო მათთვის. ერთი დღით ყოველივე ფუქსავატობას დავეხსნათ და გავსწიოთ მთელი ოჯახობით სტუდენტთა საღამოზე.

**ნამი.**

# ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება

ქართულ კილტურის მოყვარულთა საზოგადოების მორიგი საჯარო კრება გაიმართა პარასკევს, იანრის 8-ს, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში. კრება, ჩვეულებისამებრ, სრულ 8 საათზე დაიწყო გ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საზოგადოების წევრმა სტუდ. მიხ. ხერხეულიძემ წაიკითხა მოხსენება შემდეგ სათაურით: „ქართული მართლმეტყველება და წერა". მომხსენებელი შეეხო რამდენსამე საინტერესო საკითხს და მოკლედ განმარტა იგინი. მაგალითად: ასო **ჰ**-ს როლი, დაბოლოვება **ზე**, ასო **ხ**-ნი რთულსა და მარტივს სიტყვებში და სხვა მრავალი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: გ. იმნაიშვილმა, ი. მეხუზლამ, გ. ჩხეიძემ, ივ. მაჭავარიანმა, ს. დადიანმა, ვ. ბარნოვმა, ტარ. რცხილაძემ, გ. ჟორდანიამ, თვით მომხსენებელმა და სხვებმა, სულ 14-მა კაცმა.

შემდეგი კრება საზოგადოებისა გაიმართება შაბათს, იანვრის 16-ს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში. გამგეობის წევრი **ია. ვართაგავა** წაიკითხავს მოხსენებას: „სოფელი და სოფლელები, სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობებში".

# 1915 წლის ქრონიკა

**ღვინობისთვე.**

— თბილისში ჩამოვიდა მგოსანი ბალმონტი.

— დაიწყო სწავლა საგარეჯოს ახლად გახსნილ საქსოვ-სახელოსნო სკოლაში, რომელიც ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დააარსა.

— წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, გამოსცეს 20 ვერსიან მასშტაბის ქარტა საქართველოსი.

— სვეტი-ცხოველში ეგზარხოსმა პიტირიმმა მთელი წირვა ქართულად სწირა.

— დამტკიცდა წესდება კახელ წვრილ კრედიტის ამხანაგობათა კავშირისა.

— დაიწყო აჭარელთა მეორე პროცესი ბათომში.

— სათათბიროს წევრმა ა. ი. ჩხენკელმა დეპეშა მიიღო ჯარების უფროსის ვოლსკისა, რითაც მას ეძლეოდა უფლება აჭარელთა საქმის გაცნობისა.

— დამტკიცდა წესდება ქართველ კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირისა.

— ი. კარგარეთელმა დასწერა „ისტორია ქართულ მუსიკისა".

— დ. ე. ჩოლოყაშვილმა დეპეშით სთხოვა თავად ერისთავს პეტროგრადში. 500000 მანეთიდან, რომელიც გამოქცეულთათვის გადასდო მთავრობამ კავკასიის ყველა ეროვნებათ მხომარდესო.

— საარტისტო საზოგადოებაში გაიმართა ბალმონტის საღამო „შოთაზე", რომელსაც დიდძალი ქართველი საზოგადოება დაესწრო.

— დაიწყო მესამე პროცესი აჭარელთა.

— მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა დეპუტაცია ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა.

— თანახმად თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილის შუამდგომლობისა 500000 მანეთი ქართველ გამოქცეულთათვის გადიდო.

— ბაქოს მუსულმანთა საზოგადოებამ დეპეშით ითხოვა ცნობა, რამდენია დაზარალებულთა რიცხვი ბათომის ოლქშიო. ქართვ. საქვ. საზოგადოებამ უპასუხა 500 ათასიო.

— ჭიათურის შავი ქვის მრეწველთ ნება დართეს ომის გამო 300 ათას მანათის სესხის აღებისა და საფუთო გადასახადის ნახევარი კაპეიკით აწევისა.

— საგარეჯოში, (თბილ. მაზ.), ივრის ხეობის საკრედიტო ამხანაგობათა თათბირი მოხდა.

— ზინგერის საკერავ მანქანათა მაღაზიები დაიკეტა თბილისსა და ქუთაისში.

— ბალმონტის საღამომ დიდებულად ჩაიარა ქუთაისში.

— მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორმა ნ. ვ. ნიკოლსკიმ სამსახურს თავი დაანება. მის ადგილას დაინიშნა ვიცე დირექტორი ნ. გ. კოლარევი.

— ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა ხურდა ფულის გაზიდვის შესახებ, რითიც უარ ჰყოფდა ამ ხმებს.

— ხურდა ფულის შოვნა ტფილისში გაძნელდა.

— ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ გაუმართა საღამო მგოსან ბალმონტს.

— სომხურ სცენაზე პირველად დაიდგა, შიუკაშვილის „სიმახინჯე", სტამბოლიანცის და ტერ-მიკირტიჩიანცის თარგმანით.

— გამოვიდა ა. ბ. ჭიჭინაძის საპედაგოგიო ბროშურა „რიქრაჭზე სათქმელი".

— გორის წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილებამ გადასწყვიტა ნიკოლომაურის სახელობის სკოლის დაარსება.

# წერილი კახეთიდან

წლევანდელი დუხჭირი წელიწადი თვით ღრმა მოხუცებულებსაც კი არ ახსოვთ. ეს მარტო ომით არაა გამოწვეული. თუნდა ომი არა, ჭირნახულის მოსავალი ასეთი მცირე იქნებოდა. ამაზე ომს დიდი ზედ გავლენა არა ჰქონია, რადგანაც შარშან კიდევ ხალხი ტრიალებდა სოფლად, რომელთაც შეეძლოთ როგორც ვენახში მუშაობა, ისე მინდვრის მოხვნა-მოთესვა, მხოლოდ საქმე სავაისოდ იქნება, როცა სოფლად საქმის გამკეთებელი აღარაა, ომის გამო მუშა ძრიელ ძნელი საშოვნელი გახდა, ამიტომ წელს ბევრ ვენახს დააკლდება გაკეთება, ბევრი მიწა მოუხვნელი დარჩება და რაც უნდა კარგი მოსავალი მოვიდეს, თუ-კი დათესილი არ იქნება, რაღა უნდა მოიმკას.

ეს ეხლაც არავისთვის დასამალი არ არის რომ, როგორცა ვთქვით მუშა ხელის სიმცირის გამო კვლავაც ვერ მოვა კახეთში საკმაო პური და თუ წელს ვაი-ვაგლახით მიდის იოლად გლეხი კაცის ოჯახი, რა იქნება კვლავ ან როგორ შესძლებს მისი დაძაბუნებული ოჯახი პურის ასე მამასისხლად ყიდვას, ეს ძნელი წარმოსადგენია.

ეს ამინდი, ხომ დიდათ აფიქრებს მხვნელ-მთესველს, ზამთარი უკვე შუა გადატყდა და თითქოს გაზაფხულიო ისეთი მყუდრო და თბილი დღეებია. ნამი ძრიელ უჭირს დაფარცხულ მიწებს, თორემ მარცვალი ჯერ არც კი გაღივებულა და თუ ასე მშრალად წავიდა ზამთარი ფრინვლის და თაგვის კერძი გახდება დათესილი ხორბალი.

გლეხს წლევანდელი მოუსავლობა დაჭვიწყებია და სავაისოზე ფიქრობს ეხლავე.

როგორც ვიცით კახეთის ბევრმა წვრ. კრედიტის ამხანაგობებმა თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხ—ბის საშუალებით გამოიწერეს ხორბალი და ფქვილი. ჯერ ერთი ამ ამხ. გამგ. თავმჯდომარე ლუკაშვილი როგორც ჰპირდებოდათ, იმაზე მეტ ფასში მოუვიდათ ხორბალ-ფქვილი და ეს კიდევ არაფერი რომ საკმარისი მიეწოდებინა სოფლისთვის. ვისაც რამდენი უნდოდათ წინადვე დაიკვეთეს და თან ფუთზე ბეთ 70 კაპ. წარადგინეს. ამ გარემოებით ისევ სოფლის შეძლებულმა ნაწილმა ისარგებლა და ბევრი ისეთი ჩაეწერა—შემომჩიოდნენ სოფლელნი—რომ ბეღლები სავსე აქვს ხორბლითო. ეხლა ამათ ყველაზე ბევრი წაიღეს და მერე ისევ ჩვენ უნდა მოგვყიდონ მამასისხლადაო. უმატებენ სხვები.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება წვ. კრ. ამხ. გამგეობის მიერ, თორემ შაბიამან-გოგირდის დარიგების დროსაც ასე მოხდა, ვინც უფრო გავლენიანი და მდიდარი იყო, იმას ქონდა და არა თუ თავის ვენახს სწამლიდა, არამედ ჰყიდდა კიდეც მაშინ, როდესაც მეორე ბეჩავ წევრს არაფერი ხვდებოდა.

რაც შეეხება ფქვილის განაწილებას, ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაზე. აქაც მეტად მოუწყობელი ყოფილა ფქვილის გაყიდვა. პირველად როცა ფქვილი მიიღეს, თელავის ვაჭრებმა თავიანთ ოჯახებისთვის ურმებით გაზიდეს და საწყალი გლეხი რომ მიდიოდა ტომარით ხელში, რამდენიმე დღე უცდიდა და ბოლოს ან უწყალობებდნენ ან და ცარიელს ისტუმრებდნენ...

საჭიროა ამ გარემოებასაც მიექცეს ვისიც ჯერარს ჯეროვანი ყურადღება.

**თელაველი.**

# დაბა-სოფლები

**სოფ. ჭკადუაში** (ზუგდიდის მაზრა). 29 ქრისტეშობისთვეს, დილით ადრე, სოფ. ჭკადუაშის მცხოვრები მ. პაპავა გაემგზავრა დ. ზუგდიდს.—მას მიჰქონდა გასასყიდად ურმით თივა. გაჰყიდა თივა, აიღო ორიოდე გროში „საახალწლოდ" და გაუდგა შინისაკენ. შემოაღამდა სოფ. ზედა-ეწერში, ზუგდიდჯვარის გზაზე. მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო, მიუხედავად გზის აუწერელ მდგომარეობისა, მშიერი პირუტყვები გამალებით მისცურავდნენ ტალახში და მიეჩქარებოდნენ ბინისაკენ.

უცებ... გზა გადაუღობა ჩვენს მეურმეს ორმა შეიარაღებულმა კაცმა. გააჩერეს. მიუღერეს თოფები და მოსთხოვეს ფული. საწყალ გლეხს ოფლით ნაშოვარ საახალწლო გროშის ამოღება მეტად ეძნელებოდა: მოაგონდა ცოლი, შვილი, ოჯახი... ევედრებოდა: დამეხსენით, ღარიბი, წვრილ ცოლშვილის პატრონი, მარტოხელა კაცი ვარო, მაგრამ ამაოდ... გაუხეთქეს თოფებით თავი, ამოაცალეს საფულე, დასტოვეს გზაზე ცოცხალ-მკვდარი პაპავა და გაუდგნენ გზას. დაჭრილი, როცა ცოტა მოსულიერდა, აფორთხდა და ერთ მადლიან მახლობელ ოჯახს შეაფარა თავი.

მეორე დღეს მოვიდა აქ ადგილობრივი ბოქაული ბ-ნი ანთელავა, შეჰკრიბა ახლო-მახლო მცხოვრებნი და მოსთხოვა მათ დაუყონებლივ გაცემა ბოროტ-მოქმედთა.—გაძარცულმა და დაჭრილმა პაპავამ განუცხადა პოლიციას, რომ მას შეუძლიან ცნობა მძარცველთა, თუ კი მათ დაინახავს.

დარაზმეს ხალხი და ჩამოატარეს დაჭრილი პაპავა. მან დაადვა ხელი ერთს ახალგაზდას, რომელიც აღმოჩნდა ვიღაც მესხია, მეტად ცუდი ყოფა-ქცევის პატრონი. მესხიამ ენაც ვერ დასძრა თავის გასამართლებლად და იქვე შეიპყრეს. მიღებულია ზომები შესაპყრობად მისი „თანამშრომლისა".

**კაი.**

# რუსეთი

იმის შემდეგ რაც რომ სახელმწიფო საბჭოს საფინანსო კომისიამ გამოსთქვა თავისი აზრი საფინანსო პოლიტიკის უმაღლეს სახელმძღვანელო ორგანოს დაარსების შესახებ, მთავარ მართველთა წრეებში უკვე გადაუწყვეტიად შეიმუშავონ დაწერილებით ეს ახალი საკითხი.

მასთანვე გადაუწყვეტიად შეუდგნენ გამორკვევას თუ რა პირობებში შეიძლება მომავალში შეიკრას ზავი. უფრო კი დაწვრილებით აღინუსხოს ყველა ის პუნქტები, რომელიც უნდა დაედოს მომავალ სავაჭრო ხელშეკრულებას.

**შეცდომის გასწორება.**

„საქართველო"-ს დამატების მეორე ნომერში დ. კასრაძის მოთხრობა „ბალტასარის ნადიმ"-ში შემდეგი უმთავრესი შეცდომებია:

2 სვ. მე-16 სტრიქონი დაბეჭდილია „ხელთა გამოცდილებით", უნდა იყოს „წელთა გამოცდილებით. 27 სტრიქ. დაბეჭდილია „მუცელი და თეძო ძვალისა", უნდა იყოს „მუცელი და თეძო რვალისა".

4 სვ. მე-13 სტრ. დაბეჭდილია „ორი ქალი დეველი მხევალი", უნდა იყოს „ორი ქალდეველი ქალი.

6 სვ. მე-29 სტრ. დაბეჭდილა „შემდეგ ლართა უფროსს მიუბრუნდა", უნდა იყოს „დარაჯთა უფროსს მიუბრუნდა".

# ჩვენი ფოსტა

**მუშათა პატარა ჯგუფს.** გთხოვთ თქვენი წარმომადგენელი გამოგზავნოთ რედაქციაში, თქვენ მიერ გამოგზავნილ საგაზეთო წერილის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

**რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხელმოუწერელი წერილები რედაქციისათვის უცნობი პირებისა არავითარ შემთხვევაში არ დაიბეჭდება.**

რედაქცია დაუბეჭდავ პატარა წერილებს არ ინახავს და მათს შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას ავტორებთან არა კისრულობს. რედაქციაში შეინახება მხოლოდ დიდი წერილები, ბელეტრისტული თუ პოეტური ნაწარმოებნი.

უმარკო წერილებს რედაქცია ფოსტიდან არ დაიხსნის.

წერილები უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, გარკვევით და იგზავნებოდეს ბანდეროლით.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


# ჯეჯილი

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ოცდა მეშვიდე წელიწადი**

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

## ჟურნალი „ჯეჯილი"

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა **26** წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили".

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

## Открыта подписка на 1916 г.

(Годъ изданія восьмой)

На ежедневную общественно-политич. газету

## „ЗАКАВКАЗСКАЯ РѢЧЬ"

Подписная цѣна на годъ гор. 8 р. $^1/_2$ г. 5 р. 3 м. 2-75. 1 м. 1 р.
„ „ „ Иног. 10 р. „ 6 р. „ 3 р. „ 1 р.

**Подписка принимается съ 1-го по 1-ое число каждаго мѣсяца.**

Плата за объявленія впереди текста 15 коп., позади—10 к., зрѣлищъ впереди текста—20 к., Траурныя объявленія—5 р., послѣ 3-хъ час. въ типографіи «Сорапань» [Мадатовскій остр.) на 1 р. дороже. Объявленія внѣ предѣла Кавказа впереди текста 24 к., позади—12 к.

**АДРЕСЪ:** Тифлисъ, Дворцовая, 6.

Редакторъ **Кн. К. П. Тумановъ.**

Издатель **Э. Д. Горделадзе.**


# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | | № | | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. | მ. | 9 | . | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. | „ | 3 | . | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ | 19-20 | | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ | 4 | . | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი | „ | 6 | . | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. | „ | 8 | . | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. | 4 | . | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 10 | . | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ | 3 | . | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი | „ | 5 | . | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 7 | . | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ | 19-20 | | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . | 8.8 | დილ. |

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 | „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 | | დღის |
| მელაანიდან . . | 2 „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 | „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 | „ | „ |

**სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.**

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12.

Справочный отдѣлъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.


**1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**

# „განათლება"

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ. მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია"** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი"** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები"**—ბევლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში"**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

**წიგნის მაღაზია**

# „ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-ძვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი"** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.